ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N43

ქ.თბილისი

25 ივნისი, 2019 წელი
16[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია

საკრებულოს წევრები:

ლევან არველაძე
გიორგი ბირბიჩაძე
გულია გოცირიძე
ოთარ გრიგოლია
ბექა დავითულიანი
ლევან დარახველიძე
თევდორე ისაკაძე
ანა ლაშხი
გიორგი მუსხელიშვილი
რევაზ სოხაძე
დავით უთმელიძე
დავით ჭელიძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ილია ჯიშკარიანი
ქეთევან ჯოხაძე
ლევან დავითაშვილი
გიორგი დოხტურიშვილი
ირაკლი ზარქუა
ერეკლე კუხიანიძე
ნინო ლაცაბიძე
ქეთევან მამულაშვილი
შალვა ოგბაიძე
ლევან ჟორჟოლიანი
დათო რურუა
თამარ ტალიაშვილი
ვახტანგ შაქარიშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ვლადიმერ ძნელაძე
ლევან ჯაფარიძე
ჯაბა ჯიშკარიანი

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ილია ელოშვილი;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე მერაბ მამულაშვილი;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძე;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ზაზა შველიძე;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თბილისის მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი გიორგი კიკვიძე;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი გვანცა ნიკოლაიშვილი;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი გიორგი ებანოიძე;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსი ირაკლი თავართქილაძე;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელი ნინო კვეტენაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. მან ღრმა მწუხარება გამოთქვა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის დავით უჯმაჯურიძის გარდაცვალების გამო. საკრებულოს წევრებმა და დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მის ხსოვნას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

ბექა დავითულიანი გამოეხმაურა საქართველოს პარლამენტის წინ მიმდინარე მოვლენებს და განაცხადა, რომ ყველა ქართველისთვის შეურაცხმყოფელი იყო რუსი დელეგატის მხრიდან საქართველოს უმაღლესი ტრიბუნის დაკავება, რასაც, საზოგადოების მხრიდან, მოჰყვა სრულიად ჯანსაღი პროტესტი და ეს პროტესტი გაზიარებული იქნა საკრებულოს თითოეული წევრის მხრიდან. მისი თქმით, მოხდა ძალიან სამწუხარო შეცდომა, თუმცა არანაკლებ სამწუხაროა საღამოს განვითარებული მოვლენები, როდესაც საზოგადოების ჯანსაღ პროტესტს გამოეყო დესტრუქციული ძალა და გაკეთდა მოწოდებები კონსტიტუციური წესრიგის წინააღმდეგ და საქართველოს პარლამენტის შენობაში შეჭრისკენ. მმართველმა გუნდმა აიღო პასუხისმგებლობა დაშვებულ შეცდომაზე, რაც გამოიხატა იმაში, რომ თანამდებობიდან გადადგა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, დეპუტატის მანდატი დატოვა საქართველოს პარლამენტის წევრმა, რომელიც იყო შეხვედრის უშუალო ორგანიზატორი და შეიცვლება საარჩევნო სისტემა. ხოლო, რაც შეეხება ძალადობის ინსპირაციას, ამაზე პასუხისმგებლობა ოპოზიციას ჯერ არ აუღია და არც სამართლებრივი შეფასება მომხდარა, რაც აუცილებლია. ასევე სამწუხაროა, რომ სამართალდამცავების მხრიდან, აქციის დაშლის დროს, ადგილი ჰქონდა ძალის გადამეტებას, რაც ასევე აუცილებლად გამოსაძიებელია. მისი თქმით, საზოგადოება გაიზარდა და არავის პატიობს შეცდომას. საუბრის ბოლოს, ბექა დავითულიანმა განაცხადა, რომ „ჩვენ, საზოგადოებასთან ერთად, შევძელით წინა ხელისუფლების ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკიდან მივსულიყავით ნულოვანი ბარიერის და პოლიტიკური თავისუფლების პოლიტიკამდე“.

ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ სრულიად ახალ პოლიტიკურ რეალობაში გვიწევს ცხოვრება, რადგან აქამდე მისთვის წარმოუდგენელი იყო „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის შინაარსობრივი მსგავსების გაჩენა. მისი თქმით, ის იყო იმ სულისკვეთების მხარდამჭერი, რომლითაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, თუმცა დღეს „ქართული ოცნება“ აბსოლუტურად დაშორებულია პირვანდელ ღირებულებებს, რისი დასტურიც არის ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები, მათ შორის ირაკლი კობახიძისთვის ტაშის დაკვრა, რაც იყო სირცხვილი და საზოგადოების შეურაცხყოფა და მიმართა ხელისუფლების წარმომადგენლებს „ნუ გადაუსწრებთ ნაცმოძრაობას უტიფრობაში და ხალხის წინააღმდეგ წასვლაში“. ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ მისი და ჯაბა ჯიშკარიანის წინააღმდეგ წამოწყებულია „ამაზრზენი კამპანია“, თითქოს ის, ჯაბა ჯიშკარიანი და ლევან გოგიჩაიშვილი 20 ივნისს მივიდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ აქციაზე და მიმართა იმ ადამიანებს, რომლებიც ავრცელებენ მსგავს ინფორმაციას: „როდესაც ისინი ქართული ოცნების ოფისში, მილიონერ ნაციონალ დეპუტატებთან ერთად იჯდნენ და მარტო იმაზე ფიქრობდნენ, როგორ არ შექმნოდა საფრთხე საკუთარ ბიზნეს-ინტერესებს და მილიონებს, ჩვენ ვიდექით ხალხთან... გავბედეთ ის, რაც ვერ გაბედა ვერც ერთმა მათგანმა... მივედით იქ და გვინდოდა საზოგადოების გაფრთხილება იმ შედეგზე, რა შედეგიც დადგა“. მან 7 ნოემბერზე საუბარს იმ ხალხის მხრიდან, რომლებიც მაშინაც საზოგადოების საწინააღმდეგო მხარეს იდგა, „მარაზმი“ უწოდა და განაცხადა, რომ მისი განცხადების ადრესატები ყოველთვის იდგნენ და დღესაც იმ მხარეს დგანან, ვინც ხალხს ესროდა და სწორედ ეს არის მათ შორის განსხვავება.

გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, „ქართული ოცნების“ გაიგივება „ნაციონალურ მოძრაობასთან“ პოლიტიკურად დიდი შეცდომა და ამორალური საქციელია. მისთვის ისეთივე მიუღებელია კონკრეტული პოლიციელების მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და

უფლებამოსილების გადამეტება, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტების მოშლისთვის ახალგაზრდების გამოყენების მცდელობა. მისი თქმით, თითოეულ გადაცდომას უნდა ჰქონდეს კონკრეტული რეაგირება, რადგან 20 ივნისს, თითოეული ადამიანი პარლამენტის წინ იდგა იმისთვის, რომ გაეპროტესტებინა რუსული ოკუპაცია, რაც მოუღებელია ყველა ჩვენგანისთვის. მისი თქმით, ის ადამიანები, რომლებისთვისაც არაფერს ნიშნავს პარლამენტი, უსაფრთხოება და ახალგაზრდების სიცოცხლე, შეეცდებიან დაარტყან მუნიციპალიტეტს და იმ პროექტებს, რომლების განხორციელებაც დღეს მიმდინარეობს თბილისში, რასაც პრინციპულად შეეწინააღმდეგება, რადგან ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს პოლიტიკური პროცესები და მნიშვნელოვანი მუნიციპალური საკითხები.

ჯაბა ჯიშკარიანმა განაცხადა, რომ ვერ დაეთანხმება გიორგი ჩაკვეტაძეს, რომ საკრებულო არის ორგანო, სადაც მხოლოდ თვითმმართველობის საკითხებზე უნდა ისაუბრონ, რადგან ის, რაც გასულ დღეებში, თითოეული ჩვენგანის ტკივილია და არ შეიძლემა ამას შორიდან უყურო. დღეს, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები არის სირცხვილი, რაც „ქართული ოცნების ხელისუფლების უპასუხისმგებლო გადაწყვეტილების შედეგად დადგა. „ნაცინალური მოძრაობა“, რომელიც ადამიანის უფლებების ხელყოფის ავტორია, დღეს ადამიანის უფლებებზე საუბრობს. ეს ძალა დესტრუქციულად აქცია „მისმა უტიფრობამ და ძალადობამ მედიაში, ქუჩაში, საკუთარ საზოგადოებაში...“ მუდმივად ძალადობდა და შემდეგ ცდილობდა, რომ ამის „გამპრავებლად“ გამოეყვანა სხვადასხვა ადამიანები და მიმართა „ქართულ ოცნებას“ „ნუ დაემსგავსებიან ნაცმოძრაობის გამპრავებლებს“. დარწმუნებულია, რომ საკრებულოს თითოეულ წევრს აწუხებს დღეს ქვეყანაში არსებული მძიმე შედეგი, რაც გამოიხატება იმაში, რომ 20 ივნისს, საქართველოს პარლამენტის წინ განვითარებული მოვლენების შედეგად გვყავს დაზარებული ადამიანები, ახალგაზრდები, რომლებმაც დაკარგეს მხედველობა, ათასობით ტურისტის მიერ საქართველოში ვიზიტის გაუქმება, „გავეშებული ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც თავისი ინსტიტუციებით და შეგნებით მიმართულია ქვეყნის დანგრევისკენ და რომლის სურვილია, მოვიდეს ხელისუფლებაში, რომ რევანშით მიუდგეს თითოეულ ოპონენტს და საზოგადოების თითოეულ წევრს. ჯაბა ჯიშკარიანმა მიმართა „ქართული ოცნების“ და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს: „გასული ხელისუფლების დროს იყო ნაციონალური მოძრაობის ნარატივი, რომელიც ჩვენ, ყველამ ერთად, გავარღვიეთ. ვისაც ჰქონდა განსხვავებული აზრი, იყო რუსეთის აგენტი და ქვეყნის მტერი. დღეს ქართული ოცნება, სამწუხაროდ, ცდილობს ჰქონდეს ნარატივი, რომ ვისაც ექნება განსხვავებული პოზიცია, ყველა არის ნაცების წისქვილზე წყლის დამსხმელი. ჩვენ ამ ნარატივსაც აუცილებლად დავანგრევთ“. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ „არ აქვს მიმდინარე სხდომაზე დასწრების უფლება“ და მან და ვახტანგ შაქარიშვილმა, პროტესტის ნიშნად, დატოვეს საკრებულოს სხდომა.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ ქართული საზოგადოებისთვის რუსეთი არის ის თემა, სადაც კომპრომისები ვერც ერთ შემთხვევაში ვერ იქნება. ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში მიუღებელია, როდესაც პოლიციელი თავში დამიზნებით ესვრის ადამინს და ამას არასდროს არავინ გაამართლებს. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები იქნებიან სწორედ ის ადამიანები, რომლებიც ყველაფერს გააკეთებენ, რომ დაისაჯონ ამის ჩამდენი ადამიანები და მსგავსი არასდროს განმეორდეს მათი ხელისუფლების ყოფნის პერიოდში. განაცხადა, რომ „ქართული ოცნებას“ აქვს იგივე ფასეულობები, რაც ჰქონდა წლების განმავლობაში და მიმართა ვახტანგ შაქარიშვილს და ჯაბა ჯიშკარიანს „რამდენიმე თვის წინ დატოვეთ ქართული ოცნება... აღმოჩნდა, რომ ყველაფერი, რისი ნაწილიც თქვენ იყავით ამ წლების განმავლობაში, დღეს მიუღებელია.“ მისი თქმით, ეს მიუღებელია, რადგან გაცილებით დიდი პესუხისმგებლობაა იყო „ქართულ ოცნებაში“ და გუნდის შიგნიდან ეცადო დაშვებული შეცდომების გამოსწორებას. თითოეული ადამიანი აღშფოთებულია ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენებით, თუმცა საზოგადოება ობიექტურად აფასებს იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ხელისუფლების მიერ იქნა მიღებული, მათ შორის, არჩევნების ჩატარება პროპორციული სისტემით, რასაც წლების განმავლობაში ითხოვდა, როგორც ოპოზიცია, ასევე საზოგადოება. საუბრის ბოლოს, კიდევ ერთხელ მიმართა ვახტანგ

შაქარიშვილს და ჯაბა ჯიშკარიანს „არ გამიგია ვინ დაგაბრალათ ნაციონალური მოძრაობის აქციაზე მისვლა... ვფიქრობ, ეს იყო საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის პროტესტი... თქვენი მხრიდან, ამ მოვლენების გამოყენება ქართული ოცნების წინააღმდეგ, მგონია, რომ არ არის სწორი“.

ერეკლე კუხიანიძემ განაცხადა, რომ მიუღებელია ყველას მიერ აღიარებული შეცდომის გაპროტესტება იმ ადამიანებისგან, რომლებმაც რუსული ტანკები მოიყვანა თბილისიდან 20 კილომეტრში. სამარცხვინოა იმის მცდელობა, რომ „ქართული ოცნების“ და „ნაციონალური მოძრაბის“ მმართველობა და ხალხთან დამოკიდებულება ერთმანეთთან გააიგივო. პარლამენტის წინ განვითარებული მოვლენები ძალიან სამწუხაროა, თუმცა ნათელია ისიც, რომ ხალხის დასახიჩრების ბრძანება არავის გაუცია და უმკაცრესად დაისჯება ყველა ის ადამიანი, რომელმაც ჩაიდინა ეს სისასტიკე. საუბარი იმაზე, თითქოს „ქართულმა ოცნებამ“ შეცვალა მიმართულება არასწორია, რადგან, მისი თქმით, გუნდის ქმედებები კიდევ უფრო იხვეწება და ხელისუფლება უფრო და უფრო დემოკრატიულ ნაბიჯებს დგამს. ერეკლე კუხიანიძის თქმით, „იდეალური არაფერია... სისტემა არ არის სრულყოფილი“, თუმცა საზოგადოებას არავინ უშლის ჯანსაღ თვითორგანიზაციას, რომ დაეხმაროს მმართველ გუნდს, კიდევ უფრო განავითაროს დემოკრატია, მიაღწიოს მეტ წარმატებას და სრულყოფილად მართოს ქვეყანა.

ლევან ჯაფარიძემ განაცხადა, რომ ნებისმიერი ადამიანის და მით უფრო, პოლიციელის მხრიდან, აღმაშფოთებელია ხელებაწეული ადამიანისთვის დამიზნებით თავში სროლა და ბოდიში მოუხადა თითოეულ იმ ადამიანს, რომელიც პარლამენტის წინ განვითარებული მოვლენების შედეგად დაზარალდა. აღნიშნა, რომ დღეს, საზოგადოება ითხოვს შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი გახარიას თანამდებობიდან გადადგომას და განაცხადა, რომ ალბათ, თავადაც და თითოეული ჩვენგანი მოითხოვს იგივეს იმ შემთხვევაში, თუ არ შესრულდება მისი დაპირებები, რომ გამოძიება უნდა მივიდეს ბოლომდე და ადეკვატურად დაისაჯონ, როგორ პოლიციელები, ისე მომიტინგეები, რომლებიც რკინის ჯოხებს ესროდნენ პოლიციელებს და ასევე, ის პოლიტიკოსები, რომლებიც გადატრიალებისკენ მოუწოდებდნენ აქციაზე მდგომ ადამიანებს.

ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენები გამოიწვია რამდენიმე ფაქტორის ერთობლიობამ; ცხადია, ძალიან ცუდ შეცდომას, საზოგადოების მხრიდან მოჰყვა სამართლიანი პროტესტი, რასაც მოჰყვა პროვოკაცია და გამოუსწორებელი შეცდომები, ამ დარბაზში მყოფი არც ერთი ადამიანი არ ამართლებს და „აპრავებს“, რადგან ჩვენ ვართ ის ხალხი, რომლებსაც 7 ნოემბერის და 26 მაისის და სხვა მანიფესტაციებზე გვირტყამდნენ. კანონის სრული სიმკაცრით უნდა დაისაჯოს ყველა ის ადამიანი, რომელმაც გადაამეტა უფლებამოსილებას და ყველა პროვოკატორი, რომელმაც გამოიწვია 20 ივნისს საქართველოს პარლამენტის წინ შექმნილი სიტუაცია. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ „ქართულ ოცნების“ გაიგივება „ნაციონალურ მოძრაობასთან“ იმ ადამიანების მხრიდან რომლებიც წლების განმავლობაში „ქართულ ოცნების“ გუნდში იყვნენ, არის „პოლიტიკური სიბეცე და პოლიტიკური კეკლუცობა“.

ირაკლი ზარქუა გამოეხმაურა ვახტანგ შაქარიშვილის და ჯაბა ჯიშკარიანი მიერ გაკეთებულ განცხადებებს და აღნიშნა, რომ ეს არის ვიწრო პარტიული დღის წესრიგით ნაკარნახები, რაც ძალიან სამწუხაროა, რადგან ეს ადამიანები წლები „ქართულ ოცნების“ გუნდის წევრები იყვნენ. საქართველოს პარლამენტის წინ განვითარებული მოვლენები, ყველამ დაგმო, თქვა რომ იყო ძალიან ცუდი, ხელისუფლებამ აიღო პასუხისმგებლობა: თანადებობიდან გადადგა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის წევრის მანდატი დატოვა იმ დეპუტატმა, რომელიც იყო საორგანიზაციო კომიტეტში, შესაბამისი რეაგირება მოჰყვა ყველა იმ ფაქტს, სადაც ადგილი ჰქონდა ძალის გადამეტებას. საუბრის ბოლოს, მიმართა ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ ადეკვატური რეაგირება მოახდინოს იმ „პროვოკატორების“ მიმართ, რომლებიც მოუწოდებდნენ აღელვებულ და გაბრაზებულ ახალგაზრდობას, რომ შტურმით აეღო პარლამენტის შენობა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით უჯმაჯურიძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიორგი ებანოიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: ილია ელოშვილი

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

4. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: მერაბ მამულაშვილი

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე–135^4 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ სამსახურად განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ნოემბრის N15-30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

7. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135^2 მუხლით, 135^3 მუხლის პირველი ნაწილით და 135^4 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის N32-108 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

8. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

9. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის N42-40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

10. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

11. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ზაზა შველიძე

12. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ზაზა შველიძე

13. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების ადგილების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N16-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის N28-96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი კიკვიძე

15. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქონებაზე საინვესტიციო ან/და სხვა ვალდებულებათა შესრულების შესახებ საექსპერტო ან/და აუდიტორული დასკვნის გამცემ პირთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-86 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში (ნაკვეთი 20/025), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 30205 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.025) შპს „ვარკეთილი დიველოფმენთისათვის“ (ს/ნ.: 405323699) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და ამავე კომპანიასთან გასაფორმებელი „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა - ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების პროექტის შესახებ“ იმპლემენტაციის ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ.N5ა-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: N01.14.15.001.300.03.03.007; N01.14.15.001.300.03.03.520) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის N102 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. N37-ის მიმდებარედ არსებული 58 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.001.026) 25 კვ.მ. და 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ზემელისთვის“ (ს/ნ.: 402097271) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „ქალაქ თბილისში, მახათას აღმართი N1ბ-სა და რეხის ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.08.004.066; N01.16.08.004.067.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

20. „ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა, კორპუსი N23ა-ში (საკადასტრო კოდი N01.17.10.007.019.01.506 და N01.17.10.007.019.01.507) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

21. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ.: N01.11.09.001.053; N01.11.09.001.158; N01.11.09.001.132; N01.11.09.001.178) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის“ (ს/ნ.: 201990079) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

22. „ქ.თბილისში დიდი დიღმის დასახლების IV მიკრორაიონის კორპუსი N2-ში მდებარე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისათვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

23. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დავით აღმაშენებლის ქუჩა N45-ის მიმდებარედ არსებული 62 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.020.504) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ.: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

24. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, თხინვალას ქუჩა, N4-ში არსებული 800 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.16.22.914) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ.: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

25. „ქალაქ თბილისში, ავჭალის მასივის ტერიტორიაზე არსებული 1960 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.04.017.132) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ.: N204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

26. „ქალაქ თბილისში, ქუჩა დიმიტრი უზნაძე, 43-ში არსებული 2947 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1, N2, N3, N4, N5, N6, N7, N8 და N5 შენობა-ნაგებობის ქვეშ არსებული სარდაფის (საკადასტრო კოდი: N01.16.05.013.021) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

27. „ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში მდებარე 518 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N81.02.12.510) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

28. „ქალაქ თბილისში, წყნეთის ტერიტორიასა და წყნეთის სატყეო უბანში მდებარე მიწის ნაკვეთების (ს/კ: N01.20.01.012.059; N01.20.01.012.060) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

29. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, აკაკი ხორავას ქუჩა N7-11/ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.055.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

30. „აუქციონატორს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „ქონების მართვის სააგენტოსა“ და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს „სითი ბოქსს“ (ს/კ.: 439402843) შორის 2018 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ N9-427-1-22706 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის“ (ს/კ.: 439402843) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

31. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 7 ნოემბრის NE-59-22-3291 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადაუხდელობისთვის 2012 წლის 4 ნოემბრიდან - უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტის (გადაწყვეტილების) მიღების მომენტისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან როზა რეხვიაშვილის (პ/ნ 35001033462) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

32. „ქ.თბილისში, სარაჯიშვილის გამზირი N4-ში მდებარე 3494 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.04.026.010) სს „სარაჯიშვილისთვის“ (ს/კ.: N209444065) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 15 ივლისის N20.30.844 დადგენილებით განსაზღვრული საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან სს „სარაჯიშვილის“ (ს/ნ.: 209444065) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

33. „ქალაქ თბილისში, ჩიტაიას ქუჩა N17-ში, მე-2 სართულზე არსებული 338.74 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: N01.16.06.006.008.01.506) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი მწვანე სახლისთვის“ (ს/კ.: 205270570) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

34. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლაიშვილი

35. „ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.13.001.117) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლაიშვილი

36. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე - ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.006.151, N01.10.18.011.076,

N01.10.18.006.112, N01.10.18.006.153) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლაიშვილი

37. „ქალაქ თბილისში, მუხათგვერდის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.12.004.523; N01.72.12.004.525 საპროექტო ტერიტორიის ფართობი 9650 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლაიშვილი

38. „ქალაქ თბილისში, სოფელ ზურგოვანში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.005.056, N01.72.14.014.868) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლაიშვილი

39. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილის ქუჩა N14, N16/ქ.თბილისში, დიღომში, მეაბრეშუმეობის ტერიტორიაზე, დავით აღმაშენებლის მე-12 კმ-ზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.841; N01.72.14.013.670) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლაიშვილი

40. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.17.001.184, N01.14.17.001.185, N01.10.18.006.134, N01.10.18.006.133) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №304 განკარგულებით დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის უფლებრივი ზონირების რუკაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე“;

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლაიშვილი

41. „ქალაქ თბილისში, ლისზე (საკადასტრო კოდი: N72.16.21.679), განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლაიშვილი

42. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის შესახვევის N17-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 მარტის N56 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლაიშვილი

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით უჯმაჯურიძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით უჯმაჯურიძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი ცნობად იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიორგი ებანოიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ილია ელოშვილმა და აღნიშნა, რომ გიორგი ებანოიძე იყო ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში თავი წარმოაჩინა, როგორც კეთილსინდისიერმა, კომპეტენტურმა და მოტივირებულმა თანამშრომელმა, რომლის სამუშაო გამოცდილებაც შთამბეჭდავია. მისი თქმით, გიორგი ებანოიძე წარმატებით გაართმევს თავს დედაქალაქში ურბანული მიმართულებით არსებულ გამოწვევებს.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ გიორგი ებანოიძე წარდგენილია საპასუხისმგებლო თანამდებობაზე და წარმატებები უსურვა მას.

თამარ ტალიაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ საკრებულო მხარს დაუჭერს ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გიორგი ებანოიძის დანიშვნას და წარმატებები უსურვა მას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ილია ელოშვილმა და გიორგი ებანოიძემ მადლობა გადაუხადეს საკრებულოს წევრებს მხარდაჭერისთვის.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, ელექტრონული საქმისწარმოების პროცესში, დაკისრებული ფუნქციების და უფლებამოსილების განხორციელების პროცესში და მოქალაქეებისთვის სრულყოფილი და მოქნილი მომსახურებისთვის, ესაჭიროება პერსონალურ მონაცემებზე წვდომა. იქიდან გამომდინარე, რომ პერსონალური მონაცემების გამოყენებას არეგულირებს კანონმდებლობა, სახელმწიფო ინსპექტორის აპარატთან და სერვისების განვითარების სააგენტოსთან შეთანხმდა პროექტი, რომ პერსონალური მონაცემების გამოყენებისთვის გაჩნდეს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი, რაც უნდა აისახოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში.

ნინო ლაცაბიძე დაინტერესდა, რამდენად მზად არის მუნიციპალიტეტი, რომ წარმოდგენილი ცვლილები ტექნიკურად იყოს აღსრულებადი.

სერგო ბირკაძემ განმარტა, რომ პროექტი შეთანხმებულია შესაბამის სამსახურთან, რომელიც პროგრამულად უზრუნველყოფს საკითხის მოწესრიგებას და საკრებულოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულებები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ მერაბ მამულაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით, დამატებულია ორი ახალი მარშრუტი და ერთ მარშრუტზე გაიზარდა ავტობუსების მაქსიმალური რაოდენობა. ამის შესაძლებლობა მუნიციპალიტეტს მისცა დედაქალაქში 50 ერთეული „MAN“ - ის მარკის 10 მეტრიანი ავტობუსის შემოყვანის შედეგად გამოთავისუფლებული საშუალო ტევადობის „ბოგდანის“ მარკის ავტობუსებით მოძიებულმა რესურსმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი და მომდევნო სამი დადგენილების პროექტი გამომდინარეობს ცვლილებების ერთიანი პაკეტიდან, რაც გამოიწვია კანონმდებლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა, რამაც, თავისთავად, საჭირო გახადა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რამდენიმე დადგენილებაში ცვლილებების განხორციელება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 125² მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე–135⁴ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ სამსახურად განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ნოემბრის N15-30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135² მუხლით, 135³ მუხლის პირველი ნაწილით და 135⁴ მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის N32-108 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის N42-40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ თბილისში პარკირების საფასური განისაზღვრა ზონების მიხედვით. ზონალური პარკირების სისტემის სრულყოფილად ამოქმედების და საზოგადოების ინფორმირების მიზნით, წარმოგენილია პარკირების და ზონალური პარკირების ადგილების აღმნიშვნელი საგზაო მონიშვნების ფორმები. ასევე, წარმოდგენილია ზონალური პარკირების ადგილებზე პარკირების საფასურის აღმნიშვნელი დამატებითი ინფორმაციის დაფები, რომლებიც მიაწვდიან მძღოლს ინფორმაციას, თუ რომელი ზონის პარკირების ადგილზე იმყოფება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით, მუნიციპალიტეტს მიენიჭება უფლებამოსილება, რომ ტაქსით მომსახურების ნებართვის მფლობელს, შესაბამისი კატეგორია მიანიჭოს ადგილზე მიუსვლელად, რაც მძღოლებისთვის დამატებითი კომფორტის შექმნაა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო

გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ზაზა შველიძემ და განმარტა, რომ „თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრის“ მიერ ხორციელდება ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება. ცენტრის თანამშრომლებს, იქიდან გამომდინარე, რომ არ გააჩნიათ სამსახურეობრივი მოვალეობის შესასრულებლად საჭირო ტრანსპორტი, უფლებამოილების განსახორციელებლად უწევთ მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობა საკუთარი სახსრებით. პროექტით წარმოდგენილი ცვლილებებით ცენტრის თანამშრომლებს მიეცემათ შესაძლებლობა მუნიციპალური ტრანსპორტში ისარგებლონ უფასო მგზავრობის უფლებით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ზაზა შველიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილება გამომდინარეობს წინა საკითხიდან და საჭიროა დადგენილებაში ინფორმაციის მიმწოდებლად მიეთითოს იგივე დაწესებულება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების ადგილების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N16-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით ემატება გამონაკლისი ობიექტები, რომელთა განთავსება შესაძლებელია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ასეთებად განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, თბილისის ათივე რაიონში, განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კონკრეტული ღონისძიებებისთვის განთავსებული დროებითი შენობა-ნაგებობები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის N28-96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თბილისის მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი გიორგი კიკვიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით, დადგენილებას დაემატება რამდენიმე მუხლი, რის შემდეგაც, თბილისის მუნიციპალურ ინსპექციას მიენიჭება უფლებამოსილება მოახდინოს შესაბამისი რეაგირება სხვადასხვა სახის სამართალდარღვევებზე. ესენია:

1. მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსება ან/და რეალიზაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ ადგილებში, რომლებიც საკრებულოს მიერ საამისოდ არ არის განსაზღვრული;
2. ამტვერებადი მასალის სველი მეთოდის გარეშე დაჭრა, დაფქვა, დახერხვა, დაქუცმაცება;
3. მშენებარე კონსტრუქციის ღია სივრცეში ამტვერებადი მასალის შეფუთვის გარეშე განთავსება;
4. ამტვერებადი მასალის გადაუხურავი სატრანსპორტო საშუალებით ან/და არასათანადოდ გადახურული სატრანსპორტო საშუალებით გადაზიდვა;
5. ბეტონმზიდი მანქანის გადაადგილებისას ამ მანქანიდან ბეტონის გზის სავალ ნაწილზე დაღვრა;
6. სამშენებლო მოედანზე შეუფუთავი ამტვერებადი მასალის ან/და არასათანადოდ შეფუთული ამტვერებადი მასალის განთავსება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქონებაზე საინვესტიციო ან/და სხვა ვალდებულებათა შესრულების შესახებ საექსპერტო ან/და აუდიტორული დასკვნის გამცემ პირთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-86 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილ დადგენილებაში განსაზღვრული იყო აუდიტორული კომპანიების ჩამონათვალი, რომლების დასკვნის საფუძველზე ხდებოდა სხვადასხვა ვალდებულებების ან ღირებულებების დადასტურება და შეფასება. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული ეწინააღმდეგება

კონკურენციის კანონს, წარმოდგენილია ზემოთ აღნიშნული დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

16. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში (ნაკვეთი 20/025), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 30205 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.025) შპს „ვარკეთილი დიველოფმენთისათვის“ (ს/ნ.: 405323699) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და ამავე კომპანიასთან გასაფორმებელი „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა - ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების პროექტის შესახებ“ იმპლემენტაციის ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ვარკეთილში ავარიული შენობების ჩანაცვლების პროექტში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ვარკეთილი დიველოფმენთი“, რომელსაც გადაეცემა მიწის ნაკვეთი, რომელზეც მშენებლობის ნებართვის აღებიდან მაქსიმუმ 30 თვის ვადაში, ავარიული კორპუსების ჩანაცვლების მიზნით, მუნიციპალიტეტს გადასცემს დასრულებულ ბინებს, თეთრი კარკასის მდგომარეობაში, რომლის ფართი იქნება 7500 კვ.მ.

გიორგი დოხტურიშვილმა აღნიშნა, რომ ამ პროექტს მოსახლეობის დიდი ნაწილი ხვდება სიხარულით, თუმცა არიან ისეთი ოჯახებიც, რომლებიც საკუთრებაში არსებული ბინების სანაცვლოდ ითხოვენ უფრო მეტ საცხოვრებელ ფართს. ასევე, მოსახლეობის დიდი ნაწილი საცხოვრებელ ფართებს ითხოვს იმავე ლოკაციაზე, საიდანაც ხდება მათი გაყვანა. აქედან გამომდინარე, უმჯობესია ამ პრობლემების მოსაგვარებლად მერიის შესაბამისმა სამსახურებმა და საკრებულოს მაჟორიტარმა წევრებმა მოსახლეობასთან იმუშაონ ერთობლივად.

ირაკლი თავართქილაძემ გამოთქვა მზადყოფნა, რომ საკრებულოს წევრებთან ერთად, ნებისმიერ დროს შეხვდება ადგილობრივ მოსახლეობას აღნიშნული პრობლემების მოგვარების მიზნით, თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ კორპუსის თუნდაც ერთი მაცხოვრებელიც რომ იყოს წინააღმდეგი, პროექტი ვერ განხორციელდება. რაც შეეხება ფართის მოცულობას, საცხოვრებელი ბინის ჩანაცვლება მოხდება მხოლოდ იმავე მოცულობის ფართის ბინით.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ არც ერთ შემთხვევაში „ინდივიდუალურ ვაჭრობას“ არ უნდა ჰქონდეს ადგილი, სამართლიანობის დაცვის პრინციპიდან გამომდინარე, უნდა არსებობდეს გარკვეული წესი, რომლის მიხედვითაც მოხდება მოსახლეობის დაკმაყოფილება საცხოვრებელი ფართებით.

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ პროექტის მიმდინარეობის პროცესში აუცილებელი იქნება ადგილობრივ მოსახლეობასთან მუდმივი კომუნიკაცია, რათა თავიდან იქნას აცილებული მოსახლეობის გაყვანასთან დაკავშირებული მოსალოდნელი პრობლემები, ისევე, როგორც ეს მოხდა ისტორიული უბნების რეაბილიტაციის შემთხვევაში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

17. „ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ.N5ა-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: N01.14.15.001.300.03.03.007; N01.14.15.001.300.03.03.520) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის N102 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მოქალაქე დავით სოკოლოვი, ყიფშიძის ქუჩაზე, შეჩერებულ მშენებლობაში, ფლობდა ბინას, რომლის სანაცვლოდ, უნდა გადასცემოდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. თუმცა მოქალაქე არ დაეთანხმა სამხარაულის ეროვნული ბიუროს შეფასებას, უძრავ ქონებებს აფასებინებს კერძო აუდიტორს და ფასთა შორის სხვაობის არსებობის შემთხვევაში, კომპენსირება განხორციელდება თანხით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

18. „ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. N37-ის მიმდებარედ არსებული 58 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.001.026) 25 კვ.მ. და 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ზემელისთვის“ (ს/ნ.: 402097271) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

19. „ქალაქ თბილისში, მახათას აღმართი N1ბ-სა და რეხის ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.08.004.066; N01.16.08.004.067.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ათი ერთეული ფართის (ჯამში 712 კვ.მ.) საკუთრებაში გადაცემა ათი ოჯახისთვის, რომლებიც 1994 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

20. „ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა, კორპუსი N23ა-ში (საკადასტრო კოდი N01.17.10.007.019.01.506 და N01.17.10.007.019.01.507) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 128 კვ.მ ფართის საკუთრებაში გადაცემა ორი ოჯახისთვის, რომლებიც 2008 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

21. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ.: N01.11.09.001.053; N01.11.09.001.158; N01.11.09.001.132; N01.11.09.001.178) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის“ (ს/ნ.: 201990079) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ფეხბურთის ფედერაციას გადაეცემა 14000 კვ.მ ფართი, ხელოვნურსაფარიან ფეხბურთის მოედანზე შესაბამისი ინფრასტრუქტურის და ერთი მინი ფეხბურთის მოედნის მოწყობის ვალდებულებით.

რევაზ სოხაძემ აღნიშნა, რომ ფეხბურთის ფედერაციას აქვს რესურსი, რომ მსგავსი კომპლექსები მოეწყოს სხვა რაიონებშიც და სასურველია, საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატებმა ვიმუშაოთ ამ საკითხზე.

გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული წამოწყება მისასალმებელია. თბილისის სხვადასხვა რაიონებში აღრიცხულია პროექტის განხორციელებისთვის შესაბამისი ტერიტორიები და გადაცემულია როგორც საკრებულოს მაჟორიტარი წევრების წარმომადგენლობებისთვის, ასევე ფეხბურთის ფედერაციისთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 15

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

რადიოფიცირებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის აპარატურაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი. შესაბამისად, საჭირო გახდა განმეორებითი კენჭისყრა წარმოდგენილ საკითხზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

22. „ქ.თბილისში დიდი დიღმის დასახლების IV მიკრორაიონის კორპუსი N2-ში მდებარე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისათვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 16 ერთეული ფართის საკუთრებაში გადაცემა კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული 15 ოჯახისთვის, რომლებიც ხანგრძლივი პერიოდია ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე. აღნიშნული ფართების გადაცემა ხორციელდება სახელმწიფოს მიერ აღებულ ვალზე უარის თქმის სანაცვლოდ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

23. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დავით აღმაშენებლის ქუჩა N45-ის მიმდებარედ არსებული 62 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.020.504) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ.: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

24. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, თხინვალას ქუჩა, N4-ში არსებული 800 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.16.22.914) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ.: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

25. „ქალაქ თბილისში, ავჭალის მასივის ტერიტორიაზე არსებული 1960 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.04.017.132) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ.: N204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში მონასტრისა და ეკლესიის მშენებლობის მიზნით.

შალვა ოგბაიძემ განაცხადა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ძალიან კარგად არის შენარჩუნებული ძველი ტაძრის ნანგრევები, სადაც აშენდება მარიამ ღვთისმშობლის სწრაფშემსმენელი ხატის სახელობის ეკლესია და მამათა მონასტერი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

26. „ქალაქ თბილისში, ქუჩა დიმიტრი უზნაძე, 43-ში არსებული 2947 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1, N2, N3, N4, N5, N6, N7, N8 და N5 შენობა-ნაგებობის ქვეშ არსებული სარდაფის (საკადასტრო კოდი: N01.16.05.013.021) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ გრძელდება იპოდრომის მიმდებარედ, კორტების მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დაბრუნება და სწორედ ამ მიზნით, წარმოდგენილია კერძო და მუნიციპალურ საკუთრებაში ქონებების მონაცვლეობის საკითხი. აღსანიშნავია, რომ კერძო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონებები, სამხარაულის ეროვნული ბიუროს მიერ, შეფასებულია იდენტურად.

რევაზ სოხაძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარეობს ისტორიულ ზონაში, რომელზეც მიუხედავად იმისა, რომ ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6, არ არის გამორიცხული, რომ შესაბამისი კოეფიციენტით ვერ განთავსდეს შენობა. აქედან გამომდინარე, როდესაც საუბარია ისტორიულ ზონაზე, სასურველია ინვესტორმა წინასწარ იცოდეს, რა მოცულობის მშენებლობის უფლება შეიძლება მიეცეს.

გიორგი ტყემალაძე დაეთანხმა რევაზ სოხაძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას და აღნიშნა, რომ სამომავლოდ ინვესტორმა შესაძლებელია მოითხოვოს ტერიტორიის იმ ზონის შესაბამისი განვითარება, რა სტატუსითაც მოხდება მონაცვლეობა. აქედან გამომდინარე, როდესაც საუბარია ისტორიულ ზონაზე, სასურველია და უმჯობესიც იქნება შევიმუშავოთ ისეთი სქემა, რომელიც როგორც მუნიციპალიტეტს, ასევე, ინვესტორს თავიდან ააცილებს მოსალოდნელ გაურკვევლობებს.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ ამა თუ იმ ტერიტორიაზე მშენებლობის განხორციელებისას, მნიშვნელობა არ აქვს, რა სტატუსი ვრცელდება კონკრეტულ მიწის ნაკვეთზე, რადგან, პროექტის შეთანხმების პროცესში, ინვესტორს შესაძლებელია არ მიეცეს კოეფიციენტის სრულად ათვისების უფლება. მისი თქმით, ნებისმიერმა ინვესტორმა იცის, თუ რისი უფლება აქვს კანონმდებლობიდან გამომდინარე და რომ ისტორიულ ზონაში ვერ განახორციელებს იმ უბნისთვის შეუსაბამო მშენებლობას. შესაბამისად, ვერანაირი სამართლებრივი საფუძვლით ვერ მოითხოვს კოეფიციენტის სრულად ათვისებას. რაც შეეხება ამ ეტაპზე რაიმე სახის შეზღუდვის დაწესებას, ეს გამოიწვევს მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ღირებულების შემცირებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

27. „ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში მდებარე 518 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N81.02.12.510) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია შპს-ს და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მცირე ზომის მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა, რაც გამოწვეულია იმით, რომ კომპანიამ ვერ მოახერხა იმ მიზნის განხორციელება, რა მიზნითაც შეიძინა მიწის ნაკვეთი, კერძოდ, ვერ განახორციელა სასტუმროს მშენებლობა. აღსანიშნავია, რომ ქონებებს შორის ფასთა სხვაობა არის შპს-ს სასრგებლოდ, თუმცა ის უარს ამბობს სხვაობის ანაზღაურებაზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

28. „ქალაქ თბილისში, წყნეთის ტერიტორიასა და წყნეთის სატყეო უბანში მდებარე მიწის ნაკვეთების (ს/კ: N01.20.01.012.059; N01.20.01.012.060) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია კერძო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა, რაც გამოწვეულია იმით, რომ მოქალაქემ ვერ მიიღო მშენებლობის უფლება, რადგან მუშავდებოდა ახალი გენ.გეგმა, რომლის მიხედვითაც მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს, რომელზეც ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა, დაედო სატყეო ზონა და შესაბამისად, აღარ მიეცა ტერიტორიის განვითარების შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ საპრივატიზებო ღირებულებებს შორის სხვაობა არის 45000 ლარი, რასაც მოქალაქე გადაიხდის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

29. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, აკაკი ხორავას ქუჩა N7-11/ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.055.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 105 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა მოქალაქე ლაშა შიუკაშვილისთვის, რომელიც დაახლოებით 30 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე. ამავე მისამართზე ცხოვრობს 100-ზე მეტი ოჯახი, თუმცა მათ სარგებლობაში არსებული ფართები ეკონომიკის სამინისტროს საკუთრებაშია. ამ ეტაპზე მიმდინარეობს უძრავი ქონების მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემის პროცესი, რომლის დასრულებისთანავე ყველა ოჯახს საკუთრებაში გადაეცემა სარგებლობაში არსებული ფართი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

30. „აუქციონატორს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „ქონების მართვის სააგენტოსა“ და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს „სითი ბოქსს“ (ს/კ.: 439402843) შორის 2018 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ №-427-1-22706 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის“ (ს/კ.: 439402843) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ პროექტით წარმოდგენილია ერთი ლოკაციის ცვლილება, რაც გამოწვეულია ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

31. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 7 ნოემბრის NE-59-22-3291 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადაუხდელობისთვის 2012 წლის 4 ნოემბრიდან - უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტის (გადაწყვეტილების) მიღების მომენტისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან როზა რეხვიაშვილის (პ/ნ 35001033462) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მოქალაქე როზა რეხვიაშვილის გათავისუფლება პირგასამტეხლოს გადახდისგან და დავალიანების ძირი

თანხის დაფარვის განწილვადება 2 წლის ვადით. აღსანიშნავია, რომ პირგასამტეხლოს დაკისრება მოხდა მოქალაქისგან დამოუკიდებელი მიზეზით, კერძოდ, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მითითებით მოხდა მოქალაქისთვის იჯარით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული ჯიხურის აღება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

32. „ქ.თბილისში, სარაჯიშვილის გამზირი N4-ში მდებარე 3494 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.04.026.010) სს „სარაჯიშვილისთვის“ (ს/კ.: N209444065) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 15 ივლისის N20.30.844 დადგენილებით განსაზღვრული საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან სს „სარაჯიშვილის“ (ს/ნ.: 209444065) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ სააქციო საზოგადოებას პირდაპირი განკარგვის ფორმით, 49 წლის ვადით, გადაცემული ჰქონდა მიწის ნაკვეთი. კომპანიამ, 2017 წელს, ხელშეკრულების შეწყვეტის თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტს, თუმცა ხელშეკრულების შეწყვეტა მოხდა 2018 წლის 17 აპრილს. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია კომპანიის გათავისუფლება ამ პერიოდში დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდისგან. რაც შეეხება ძირ თანხას, კომპანიამ უნდა გადაიხადოს მორიგების აქტის გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

33. „ქალაქ თბილისში, ჩიტაიას ქუჩა N17-ში, მე-2 სართულზე არსებული 338.74 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: N01.16.06.006.008.01.506) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი მწვანე სახლისთვის“ (ს/კ.: 205270570) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ „ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი მწვანე სახლი“ დღემდე ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის ყოფილ საკუთრებაში და ფსიქიკური დარღვევების პრევენციის მიზნით, ემსახურება მცირეწლოვან ბავშვებს და მათ მშობლებს. პროექტით წარმოდგენილია ა(ა)იპ-ს გადაყვანა სხვა ლოკაციაზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

34. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა გვანცა ნიკოლაიშვილმა.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ამ ეტაპზე ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილია 18 პოზიცია (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილები: N12-0319149104-03 (2 პოზიცია), N12-031916324-03 (6 პოზიცია) და N12-031916327-03 (10 პოზიცია), რომელთაგან საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით დამატებით შესწავლას მოითხოვს და შესაბამისად, განსახილველად უნდა გაიდადოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის N12-0319149104-03 წერილით წარმოდგენილი მე-2, N12-031916324-03 წერილით წარმოდგენილი მე-4 და N12-031916327-03 წერილით წარმოდგენილი მე-10 პოზიციები, ხოლო დანარჩენ 15 პოზიციაზე ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

35. „ქალაქ თბილისში, ხევმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.13.001.117) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის ფართობია 26378 კვ.მ. დაგეგმილია მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივი, სავაჭრო, საცხოვრებელი, გასართობი, გამაჯანსაღებელი და სასტუმროს ფუნქციების განვითარებას. პროექტი შესაბამისობაშია დამტკიცებულ გეგმარებით დავალებასთან, შემოთავაზებულია მცირედი ცვლილება, კერძოდ, გარკვეულ ნაწილზე ზონის სტატუსის ცვლილება სპეციალური ზონა 1-ით, რომელიც განკუთვნილია საინჟინრო ობიექტისთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

36. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე - ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.006.151, N01.10.18.011.076, N01.10.18.006.112, N01.10.18.006.153) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ ტერიტორიის ფართობია 10998 კვ.მ., რომელზეც ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2. საპროექტო წინადადების ფარგლებში, ტერიტორიის განვითარება დაგეგმილია სარეკრეაციო ზონა 3-ის პარამეტრებით, მცირე

ნაწილზე შენარჩუნდება სარეკრეაციო ზონა 2, ხოლო ნაწილზე გავრცელდება სატრანსპორტო ზონა. ტერიტორიაზე განთავსდება 8 ვილა და ერთი სასტუმრო.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

37. „ქალაქ თბილისში, მუხათგვერდის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.12.004.523; N01.72.12.004.525 საპროექტო ტერიტორიის ფართობი 9650 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ ტერიტორიის ფართობია 9650 კვ.მ., რომელზეც ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო ზონა. საპროექტო წინადადებით შემოთავაზებულია ზონის სტატუსის ცვლილება სამრეწველო ზონა 1-ით, რადგან დაგეგმილია სასაწყობო მეურნეობის განთავსება, ოფისით და დამხმარე სენობა-ნაგებობებით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

38. „ქალაქ თბილისში, სოფელ ზურგოვანში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.005.056, N01.72.14.014.868) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ ტერიტორიის ფართობია 118239 კვ.მ., რომელზეც ვრცელდება ზოგადი სარეკრეაციო ზონა და საცხოვრებელი ზონა 4. საპროექტო წინადადებით შემოთავაზებულია ტერიტორიის განვითარება საცხოვრებელი ზონა 3-ის და სარეკრეაციო ზონა 3-ის ფარგლებში. კერძოდ, დაგეგმილია კომპლექსის მშენებლობა, სადაც განთავსდება საცხოვრებელი, სარეკრეაციო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და კომერციული ობიექტები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

39. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილის ქუჩა N14, N16/ქ.თბილისში, დიღომში, მეაბრეშუმეობის ტერიტორიაზე, დავით აღმაშენებლის მე-12 კმ-ზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.841; N01.72.14.013.670) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის

დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ ტერიტორიის ფართობია 42617 კვ.მ., რომელზეც ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2. საპროექტო წინადადებით, „თეგეტა მოტორსის“ სერვის-ცენტრის გაფართოვების მიზნით, შემოთავაზებულია ტერიტორიის განვითარება საოფისე, საგამოფენო, სასაწყობო, დამხმარე, კომერციული ფუნქციებით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

40. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.17.001.184, N01.14.17.001.185, N01.10.18.006.134, N01.10.18.006.133) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №304 განკარგულებით დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის უფლებრივი ზონირების რუკაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ კორექტირებით წარმოდგენილია ტექნიკური ხარვეზის გასწორება, კერძოდ, სამსახურის მხრიდან, განახლებული უფლებრივი ზონირების რუკის ნაცვლად, გადმოგზავნილი იყო პირველადი უფლებრივი ზონირების რუკა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

41. „ქალაქ თბილისში, ლისზე (საკადასტრო კოდი: N72.16.21.679), განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ ტერიტორია მდებარეობს ლისის ტბის მიმდებარედ, მისი ფართობია 10005 კვ.მ., სადაც დაგეგმილია სასწავლო-სამეცნიერო კომპლექსის, კერძოდ, „მომავლის სკოლის“ მშენებლობა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

42. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის შესახვევის N17-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 მარტის N56 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ პროექტით წარმოდგენილია მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმის ცვლილება, ჯამური კოეფიციენტისა და განვითარების კონცეფციის უცვლელად.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 14 დადგენილება და 27 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი